2020-2021 სასწავლო წლის
მაგისტრატურის მისაღები მოთხოვნები <u>კოლოკვიუმში</u>

პროგრამა - მუსიკისმცოდნეობა

თუ სამაგისტრო პროგრამაზე „მუსიკისმცოდნეობა“ აბარებს პირი, რომელიც არის სხვა სპეცალობის ხელოვნების ბაკალავრი, ინიშნება დამატებითი ზეპირი გამოცდა - კოლოკვიუმი, სადაც აბიტურიენტი გამოიცდება შემდეგ დისციპლინებში:

მუსიკის თეორია

- მოდალური სისტემა. ძველი მოდალობა, ახალი მოდალობა
- მაჟორულ-მინორული სისტემა
- XX ს. ჰარმონიული აზროვნება
- ჟანრი და სტილი, შინაარსი და ფორმა მუსიკაში
- მარტივი ფორმები
- რთული ფორმები
- XX ს. მუსიკის ფორმები
- შუა საუკუნეებისა და აღორძინების ეპოქების პოლიფონია
- თავისუფალი სტილის პოლიფონია
- კონტრაპუნქტის და იმიტაციის თეორიები, ფუგა

მუსიკის ისტორია

- შუა საუკუნეების მუსიკალური კულტურა
- აღორძინების ეპოქის მუსიკალური კულტურის ძირითადი ტენდენციები
- ბაროკო მუსიკაში
- კლასიციზმი მუსიკაში
- რომანტიზმი მუსიკაში
- იმპრესიონიზმი მუსიკაში
- XX ს. მუსიკალური ხელოვნება (პერიოდიზაცია, სტილები, მუსიკალური ენისა და ჟანრების განახლების ტენდენციები)
- არაევროპული ქვეყნების მუს.კულტურათა მნიშვნელობა ევროპული მუს.კულტურის ისტორიაში
- ახალი ქართული პროფესიული მუსიკის ისტორიული წანამძღვრები და კლასიკოსთა პირველი თაობის მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპები

- XX ს. 20-50-იანი წლების ქართული მუსიკალური კულტურის განვითარების ძირითადი ტენდენციები
- XX ს. 60-90-იანი წლების ქართული მუსიკალური კულტურის განვითარების ძირითადი ტენდენციები

ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება

- აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მუსიკალური დიალექტები
- აღმოსავლეთ საქართველოს მთის მუსიკალური დიალექტები
- დასავლეთ საქართველოს ბარის მუსიკალური დიალექტები
- დასავლეთ საქართველოს მთის მუსიკალური დიალექტები
- ქართული ხალხური მუსიკის კანონზომიერებები (მრავალხმიანობა, კილოური წყობა, მელოდიკა, ჰარმონია, კადანსები, მოდულაციები, მეტრი, რიტმი, ტემპი)
- ქართული ხალხური სიმღერის შესრულების თავისებურებები (მომღერალთა რაოდენობა; ზედა ხმებისა და ბანის შემსრულებელთა რიცხვი; ხმების ფუნქციები და სახელები, მათი კლასიფიკაციის ხალხური პრინციპი; შესრულების ფორმები, სქესობრივ-ასაკობრივი რეგლამენტაცია; მომღერალთა შეჯიბრის ტრადიცია; ხმის სიძლიერე; შესრულების ტესიტურა და მანერა)

კოლოქვიუმის წარმატებით გავლის შემთხვევაში აბიტურიენტი დაიშვება სპეციალობის შემოქმედებით ტურზე.